განმარტებითი ბარათი

2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებაზე

აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით მიმდინარე „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის" განხორციელების მიზნით, საქართველოსა და ADB-ს შორის 2010 წლის 21 ივნისს გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულება (შემდგომში FFA). FFA ითვალისწინებს საქართველოსთვის 2010-2018 წლებში 300 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსების პროგრამის შექმნას ურბანული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის სრულყოფის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციისათვის.

FFA-ს ფარგლებში საქართველოსა და ADB-ს შორის 2010 წლის 5 აგვისტოს ხელი მოეწერა „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის - პროექტი 1"-ის (შემდგომში პირველი პროექტი) სასესხო ხელშეკრულებას დაახლოებით 85 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული პროექტიდან ფინანსდება: თბილისის მეტროს გაგრძელება (ვაჟა-ფშაველას გამზირი), მესტიის გზის რეაბილიტაცია (დასრულდა), ანაკლიის ნაპირდაცვის (I ფაზა) ღონისძიებები.

FFA-ის ფარგლებში პროექტი 2-თან დაკავშირებით ხელშეკრულებები ADB-სთან გაფორმდა 2012 წლის 24 ივლისს (დაახლოებით 80 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სესხზე, აქედან ADB-ს მიერ დაახლოებით 16 მლნ აშშ დოლარი გამოიყო ADF (Asian Development Fund) პირობებით და 64 მლნ აშშ დოლარი OCR (Ordinary Capital Resources) პირობებით). ამ უკანასკნელში 2013 წლის 17 სექტემბერს შევიდა ცვლილება გაუქმდა ქვეპროექტი - „მცხეთის ხიდის მშენებლობა, საკონსულტაციო მომსახურება და თბილისის ბულვარის მოწყობა" და შემცირდა სესხის თანხა 15.1 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ამ ეტაპზე მთლიანად პროექტისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 64 მლნ აშშ დოლარი (აქედან დაახლოებით 16 მლნ აშშ დოლარი ADF პირობებით და 48.8 მლნ აშშ დოლარი OCR პირობებით). აღნიშნული პროექტიდან ფინანსდება: თბილისი-რუსთავის გზის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობა (პირველი და მესამე მონაკვეთი) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ხიდების ლაბორატორიის ინსტიტუციური გაძლიერება.

მეორე პროექტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ხიდების ლაბორატორიის ინსტიტუციური გაძლიერების პროექტისათვის გამოყოფილი რესურსის ფარგლებში (1,5 მლნ აშშ დოლარი) განსაზღვრული იყო საკონსულტაციო კომპანიის მიერ ლაბორატორიისათვის 200 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა და ლაბორატორიისათვის მიწოდება, რისთვისაც ასევე განსაზღვრულია შესყიდვის კონკრეტული სახე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით 2014 წელს საკონსულტაციო კომპანიის დასაქირავებლად ტექნიკური დავალების მომზადების პროცესში, ხიდების ლაბორატორიასთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ ამ ეტაპზე ლაბორატორიას ესაჭიროება უფრო მეტი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვალისწინებული. დაისვა საკითხი ასევე ლაბორატორიის ფართის რემონტის თაობაზე.

ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მუნიციპალურ განვითარების ფონდის (MDF) მიერ განისაზღვრა საერთაშორისო ტენდერის ჩატარება. შესყიდვის მეთოდის შეცვლამ თავისთავად გამორიცხა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა/მიწოდების შესაძლებლობა საკონსულტაციო კომპანიის მიერ. MDF-ის მიერ საერთაშორისო ტენდერის გამოცხადებისათვის საჭირო გახდა სასესხო ხელშეკრულებებში შესაბამის ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, ვინაიდან თავდაპირველად ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა ხდებოდა თავად საკონსულტაციო კომპანიის მიერ, აღჭურვილობის თანხა შედიოდა საკონსულტაციო მომსახურების ქვეკატეგორიაში. ამჟამად, შესყიდვა უნდა განახორციელოს MDF-მა, შესაბამისად საჭირო გახდა ხელშეკრულებებში საქონლის კატეგორიის დამატება. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხრილში „სესხის თანხების განთავსება და გამოთხოვა" ქვეკატეგორია „სამუშაოები", ქვეკატეგორიის სახელი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „სამუშაოები და საქონელი".

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №628 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართა დონორს სასესხო ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2015 წლის 2 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №1832 განკარგულების და საქართველოს პრემიერ-მინისტრის №363 ბრძანების საფუძველზე 2015 წლის 3 სექტემბერს ხელი მოეწერა 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებას.

სასესხო ხელშეკრულებების ცვლილება საქართველოს მხრიდან ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის მიერ, ხოლი აზიის განვითარების ბანკის მხრიდან აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის შონ ოსალივანის მიერ.